ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1406077

ნომერი: AR1238512

თარიღი : 19.07.2014

გაცემის თარიღი : 25.07.2014

გაცნობის თარიღი : 26.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წყნეთი , კორპუსი 2ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე სარჯველაძე პ/ნ 01009003377
- თბილისი ო.თაქთაქიშვილის ქ. N 3/43 ბ. 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ მსგავსი სახით სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება სცდება I კლასის მახასიათებლებს. ამასთანავე ფასადის წინ გადმოწევა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. იმისათვის, რომ სამსახურმა საპროექტო სამუშაოები განიხილოს როგორც I კლასის მახასიათებლები, საჭიროა ფასადი გაუსწორდეს ზევით უკვე არსებულ ფასადს წინ გადმოწევის გარეშე.

საკითხის განსახილველად გასათვალისწინებელი და წარმოსადგენია:

- ნომენკლატურა არასწორად გაქვთ მითითებული. არჩეული ნომენკლატურასთან ერთად დამატებით უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურები: "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი - ქმედებები რეკონსტრუქცია" და "შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება - ქმედებები რეკონსტრუქცია" და შეავსოთ შესაბამისი ველები, რისთვისაც გეძლევათ საშუალება ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

- "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" დაწვრილებით აისახოს ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია. ასევე განიმარტოს იმის შესახებ, თუ უშულოდ ვის საკუთრებას წარმოადგენს ეს ფართი, ვინაიდან თქვენს მიერ ასევე გადმოგზავნილია მოქ. გოჩა სალუქვაძის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. იმ შემთხვევაში თუ ფართი წარმოადგენს როგორც შპს "ეს კი იმპექსი"-ს ასევე მოქ. გოჩა სალუქვაძის საკუთრებას აღნიშნული მიეთითოს "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში".

- ვინაიდან ხდება ფართის მომატება საჭიროა ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3 (67%) და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 100%.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.